სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

27 / აგვისტო / 2024 წ.

KA080137565062924

№ **2321**

განკარგულება

შპს „მეტალ +“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „სპორტმშენსერვისი“;

ტენდერის ნომერი: NAT240002398;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „მეტალ +“ (ს/ნ: 400019047);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 17 ივლისს წარმოდგენილ იქნა შპს „სპორტმშენსერვისის“ 2024 წლის 17 ივლისის №00025305 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №5911), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „მეტალ +“-ის (ს/ნ: 400019047) მიერ NAT240002398 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2024 წლის 27 მარტის № TEN-9 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის giorgi.muzashvili@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 19 ივლისის № 2176 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 24 ივლისსა და 6 აგვისტოს სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 24 ივლისის №24/07/24/01 და 2024 წლის 6 აგვისტოს განმარტება (რეგისტრაციის №6103 და №6612) მის მიერ NAT240002398 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2024 წლის 27 მარტის № TEN-9 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 22 აგვისტოს, სააგენტოს 2024 წლის 20 აგვისტოს № 2440 წერილის პასუხად, წარმოადგინა 2024 წლის 22 აგვისტოს № 00029648 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 7088) მიმწოდებლის მიერ NAT240002398 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2024 წლის 27 მარტის № TEN-9 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა 2024 წლის 27 მარტის № TEN-9 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეწყვიტა ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელი არ ეთანხმება მისი შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნას და აღნიშნავს, რომ სარჩელით მიმართა სასამართლოს შემსყიდველი ორგანიზაციის წინააღმდეგ და წარმოადგენდა სასამართლოს განჩინებას, რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 27 მარტს, NAT240002398 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, შპს „სპორტმშენსერვისსა“ და შპს „მეტალ +“-ს (ს/ნ: 400019047) შორის დაიდო № TEN-9 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს 2024 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით უნდა შეესრულებინა გიორგი გურამიშვილის ქუჩის მიმდებარედ შენობის რეაბილიატაციისა და მის მიმდებარედ ღია ამფითეატრის მშენებლობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 1 539 773,71 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 25 დეკემბერი.

4.2. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2024 წლის 26 აპრილის № 26/04/24/9-04 წერილით აცნობა, რომ სამუშაოების შესრულებისას პროექტის ავტორის მითითებით არ მოხდა შენობიდან ბეტონის პანელების დემონტაჟი, რის გამოც არსებითად იცვლებოდა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას, სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულების მიზნით, მოუწოდა დროულად მიეწოდებინა საპროექტო ნახაზები.

4.3. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2024 წლის 10 მაისის № 10/05/24/10-05 წერილით აცნობა, რომ შესრულდა ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოები. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას, დარჩენილი სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულების მიზნით, სთხოვა დროულად განეხილა აღნიშნული საკითხი.

4.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 13 მაისის № 00016837 წერილით, გამოთქვა მზადყოფნა ხელშეკრულებით განსაზღვრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ერთეული ფასების გათვალისწინებით მიმწოდებლის მიერ წარდგენილი დამატებითი სამუშაოების ანაზღაურების შესახებ.

4.5. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს 2024 წლის 31 მაისის № 00019126 წერილით წარუდგინა შენობის გამაგრების კონსტრუქციული და შენობის გეგმარების კორექტირებული პროექტები. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა სამუშაოების შესრულებისას ეხელმძღვანელა წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 3 ივნისის № 00019284 წერილით ირკვევა, რომ სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით, რის გამოც არსებობდა კალენდარული გეგმა-გრაფიკის დარღვევის საფრთხე. ამავე წერილის მიხედვით, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, არ ხდებოდა ობიექტის სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა და ობიექტზე არ იმყოფებოდა სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რის გამოც გარკვეული დღეების განმავლობაში სამუშაოები იყო შეჩერებული. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 20 ივნისის № 00021585 წერილით ირკვევა, რომ 2024 წლის 18 ივნისის პერიოდისათვის მოწყობილი იყო ერთსართულიანი შენობის მცირე ნაწილის ძირითადი მზიდი კედლების გამაგრებისათვის საჭირო არმირება, მშენებარე ამფითეატრის ნაწილში განხორციელებული იყო დაბეტონების გარეშე ფუნდამენტის არმირება. ამავე წერილის მიხედვით, არ მიმდინარეობდა შენობის სინკარებზე მონოლითური ფილის და სეისმური სარტყლის მოწყობის სამუშაოები, რომლის კორექტირებული პროექტი შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს 2024 წლის 31 მაისს მიაწოდა, ხოლო მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ქვაბულის ჩაბარების აქტის შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მიწოდება. ამასთან, არ ხდებოდა სათანადო მასალის დროული მიწოდება, ხოლო ადგილზე იმყოფებოდა 5-6 მუშა-პერსონალი, სამუშაოთა მწარმოებლის გარეშე, რაც არასაკმარისი იყო. ამავე წერილით ირკვევა, რომ გაფრთხილების მიუხედავად, შესრულებული იყო სამუშაოთა მცირე ნაწილი და იგი კვლავ დაბალი ტემპით მიმდინარეობდა, რაც საფრთხეს უქმნიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოების დასრულებას. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 24 ივნისის № 00021960 წერილის მიხედვით, მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა სამუშაოების მცირე ნაწილი, ამასთან ობიექტზე სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით, არ ხდებოდა შესაბამისი საჭირო მასალების დროული მიწოდება, ობიექტზე არ იმყოფებოდა სამუშაოთა წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის სიტყვიერი გაფრთხილების მიუხედავად, არ იყო დანიშნული. გარდა ამისა, ობიექტზე არ იმყოფებოდა მუშა-პერსონალი, რის გამოც სამუშაოები იყო შეჩერებული. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა დაუყოვნებლივ განეახლებინა სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

4.9. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2024 წლის 25 ივნისის №25/16/24/25-08 წერილით აცნობა, რომ სამუშაოების დაწყების პირველი დღიდან დადგა პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის კორექტირების აუცილებლობა, რამაც, ზეპირსიტყვიერ დავალებებთან ერთად, გამოიწვია თანხის არამიზნობრივი ხარჯვა. ამასთან, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიუთითა პროექტანტისა და ტექნიკური ზედამხედველების გულგრილ დამოკიდებულებაზე, კერძოდ, სახურავიდან ბეტონის ფილების დემონტაჟი ვერ შესრულდა, რადგან პროექტანტს გამორჩა ფილების თავზე არსებული ბეტონის ფილა, რომლის დემონტაჟის გარეშეც ფილები ვერ მოიხსნებოდა, რამაც გამოიწვია ტიხრების დემონტაჟისა და მონტაჟის ცვლილება. ამასთან, დემონტაჟის სამუშაოების დროს შენობის შუა ნაწილში ჩამოინგრა დაზიანებული ნაწილი, რაც ვერ იქნებოდა წინასწარ განსაზღვრული და, შესაბამისად, მისი ნახაზი არ არსებობდა. ამავე წერილის მიხედვით, მუხედავად არაერთი შეხვედრისა არ არსებობდა შენობიდან ნალესის ჩამოყრის, ღიობების გაჭრის, იატაკის დონისა და სახურავზე მოსაწყობი ფილის არმირების ნახაზი, სადაც განსაზღვრული იქნებოდა თუ სადამდე იქნებოდა მოწყობილი 10 მმ. არმირებული ბადის ერთი ფენა და 12 მმ. არმირებული ორფენიანი ბადე. გარდა ამისა, ხარვეზი გააჩნდა ასევე ამფითეატრსაც, კერძოდ, მიწის სამუშაოები შესრულდა ორმაგი ღირებულებით, არ იყო გათვალისწინებული დასაჯდომი ტერასების ქვეშ ბეტონის ნარევით მომზადება, არ არსებობდა საფეხურების არმირების დეტალური კვანძი, რომლის მიხედვითაც უნდა შედგენილიყო ფარული სამუშაოების აქტი. ამასთან, ამფითეატრის ნაწილზე მოწყობილი იყო არმატურის ბადე, რის გამოც მიმწოდებელი ვერ ასხამდა ბეტონს. გარდა ამისა, ფარული სამუშაოების აქტის დადასტურებისგან თავს იკავებდა ტექნიკური ზედამხედველი, რაც ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ნახაზის გარეშე სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იყო.

4.10. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 28 ივნისის № 00022670 წერილის მიხედვით, მიმწოდებლის მოთხოვნებს მოჰყვა შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი და დროული რეაგირება. ამავე წერილის მიხედვით, შენობის ნაწილის ჩამონგრევა გამოიწვია მიმწოდებლის მიერ სამუშაოების არაჯეროვანმა შესრულებამ, ხოლო ტიხრების დემონტაჟი/მონტაჟის ცვლილებასთან დაკავშირებით, ჩასატარებელი სამუშაოების ნახაზები მიმწოდებელს წარედგინა 2024 წლის 31 მაისს, ხოლო ძველი ნალესის ჩამოყრა შენობიდან არ საჭიროებდა შესაბამის ნახაზს. ამასთან, შენობის სახურავზე მოსაწყობი ფილის არმირების ნახაზის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მიმწოდებელი არაერთხელ იყო ზეპირსიტყვიერად ინფორმირებული, ნაწილი არმირების ნახაზებისა შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს წარუდგინა 2024 წლის 31 მაისსა 26 ივნისს. ამავე წერილის მიხედვით, არმირების სამუშაოების განხორციელებამდე მიმწოდებელმა პროექტის შესაბამისად ვერ განახორციელა ერთსართულიანი შენობის სახურავზე მოსაწყობი ბეტონის ფილის, სარტყელისა და მისაბმელი აივნის, ლითონის ხვეული კიბის ბაქნის დასაბეტონებლად ყალიბის ფარების მოწყობა შენობის 5-9 ღერძებში, რომლის განსახორციელებლად მიმწოდებელს უნდა ეხელმძღვანელა კონსტრუქციული ნახაზით. ამავე წერილით ირკვევა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას არ მიუღია მიმწოდებლის წერილობითი შენიშვნები/მოთხოვნები შენობის კონსტრუქციულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ამავე წერილის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ გაიზიარა მიმწოდებლის არგუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ამფითეატრის ნაწილში ვერ ხორციელდებოდა ბეტონირება და სხვა სამუშაოები, რამდენადაც მიმწოდებელს უნდა ეხელმძღვანელა არსებული პროექტის ნახაზებით, ხოლო შენიშვნების არსებობისას უნდა მიემართა დამკვეთისთვის, რაც მიმწოდებელს არ განუხორციელებია. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის გაუგებარი იყო ის ფაქტი, თუ რატომ მიმართა მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას ამფითეატრის კონსტრუქციის დამატებით ნახაზების წარდგენის მოთხოვნით 2024 წლის 25 ივნისს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 ივნისამდე პერიოდში, რატომ დააყოვნა სამუშაოები და საჭიროების შემთხვევაში არ მოითხოვა დამატებითი ნახაზები. ამასთან, მიმწოდებელს ჰქონდა შესაძლებლობა განვლილი პერიოდის განმავლობაში პროექტის შესაბამისად განეხორციელებინა რიგი სამუშაოები. ამავე წერილის მიხედვით, ამფითეატრის მშენებლობაზე დასმული საკითხების შესახებ ეცნობა პროექტის ავტორს, რომლის მომზადებული კონსტრუქციის კონსოლიდირებული პროექტი, არქიტექტორის მიერ დაფიქსირებულ პოზიციასთან ერთად, გაეგზავნა მიმწოდებელს. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა დაუყოვნებლივ განეახლებინა სამუშაოები.

4.11. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს 2024 წლის 3 ივლისის № 00023328 წერილით წარუდგინა კორექტირებული ნახაზების შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კორექტირებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და აცნობა, რომ დამატებითი სამუშაოები, რომლებიც განხორციელდებოდა მიმწოდებლის მიერ ანაზღაურდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის გაუთვალისწინებელი ხარჯების რეზერვიდან.

4.12. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2024 წლის 8 ივლისის №08/07/24/003 წერილით აცნობა, რომ გაუთვალისწინებელი სამუშაოების გამო დაკორექტირებულ პროექტში მითითებული იყო 5 სანტიმეტრზე კედლების ტორკრეტირება, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ნახაზების გაკეთებისას კედლები არმატურით იყო მოჯავშნილი და 10 სანტიმეტრზე იყო გამოსული. ამავე წერილის მიხედვით, არ იყო შეცვლილი ჭერის ლესვა გიფსოკარდონის მოწყობით, შენობის ჭერი გადახურული იყო უსწორმასწორო ბეტონის ფილებით, რომლებსაც ჰქონდა ღრმულები, ხოლო შენობა სიძველის გამო ვიბრირებდა, სახურავზე ვერანდის მოწყობისას გამოცემული ვიბრაცია კი ქმნიდა შიდა მხრიდან შელესილი ჭერის დაზიანების საფრთხეს.

4.13. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 9 ივლისის № 00024075 წერილით ირკვევა, რომ ერთსართულიანი შენობის კედლებზე მოწყობილი იყო კედლების გამაგრებისთვის საჭირო არმატურის ბადე/ჯავშანი შენობის 1-4 ღეძებში, შენობის სამხრივ პერიმეტრზე და კედლების/არმატურის ბადის ტორკრეტირების ნაცვლად კედლები ხელით ილესებოდა. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა სამუშაოების შეჩერებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაგზავნილი პროექტის ნახაზების შესაბამისად განხორციელებისაკენ. ამავე წერილის მიხედვით, ტორკრეტირების სისქის 10 სმ-ით განსაზღვრასა და ფასადის ლესვის სამუშაოებთან დაკავშირებით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ გამოთქვა მზაობა აენაზღაურებინა ფაქტობრივი მოცულობის შესაბამისად ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯების რეზერვიდან. ამასთან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უცვლელი დატოვა ხარჯთაღიცხვის შესაბამისად შენობის ინტერიერში ჭერების ლესვა, რისთვისაც საჭირო იყო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ 2024 წლის 3 ივლისს წარდგენილი შეთანხმების პროექტის გაფორმება, რომელიც მიმწოდებლის მხრიდან არ განხორციელებულა. ამავე წერილის მიხედვით, ობიექტზე სამუშაოები არ მიმდინარეობდა ინტენსიურ რეჟიმში.

4.14. საქმეში არსებული 2024 წლის 16 ივლისის № 4 ინსპექტირების აქტით ირკვევა, რომ მიმწოდებლის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 16 ივლისამდე ობიექტზე სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით, რაც საფრთხეს უქმნიდა სამუშაოების სახელშეკრულებო ვადებში დასრულებას. ამავე დასკვნის მიხედვით, ინსპექტირების ჩატარების პერიოდისათვის სამუშაოები იყო შეჩერებული.

4.15. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 16 ივლისის № 00025148 წერილით ირკვევა, რომ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაოების სრულად და ჯეროვნად შესრულება, კერძოდ, სამუშაოები მიმდინარეობდა წყვეტილად და დაბალი ტემპით, სამუშაოების დაწყებიდან ოთხი თვის განმავლობაში შესრულებული იყო სამუშაოების მცირე ნაწილი, ობიექტზე ბოლო პერიოდამდე არ იმყოფებოდა სამუშაოთა მწარმოებელი პასუხისმგებელი პირი, მიმწოდებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გეგმა-გრაფიკს. გარდა ამისა, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო დარჩენილი სამუშაოების დეტალურად გაწერილი სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის წარდგენა. ამავე წერილით, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეწყვიტა ხელშეკრულება.

4.16. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 81 631,07 ლარის სამუშაო, რაც ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მეტალ +“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის

შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2024 წლის 27 მარტის № TEN-9 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს საქმეში არსებულ 2024 წლის 16 ივლისის № 4 ინსპექტირების აქტსა და შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 16 ივლისის № 00025148 წერილზე, რომლითაც ირკვევა, რომ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაოების სრულად და ჯეროვნად შესრულება, კერძოდ, სამუშაოები მიმდინარეობდა წყვეტილად და დაბალი ტემპით, ობიექტზე ბოლო პერიოდამდე არ იმყოფებოდა სამუშაოთა მწარმოებელი პასუხისმგებელი პირი და მიმწოდებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გეგმა-გრაფიკს. გარდა ამისა, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 28 ივნისის №00022670 წერილში მითითებულ გარემოებაზე, რომლის მიხედვითაც ამფითეატრის მშენებლობაზე დასმული საკითხების შესახებ ეცნობა პროექტის ავტორს, რომლის მომზადებული კონსტრუქციის კონსოლიდირებული პროექტი, არქიტექტორის მიერ დაფიქსირებულ პოზიციასთან ერთად, გაეგზავნა მიმწოდებელს, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, როგორც საქმეში არსებული დოკუმენტაციით დგინდება, მიმწოდებელს ინტენსიურ რეჟიმში სამუშაოები არ წარმოებია. საგულისხმოა ისიც, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს არ წარმოუდგენია სასამართლოს განჩინება, რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამდენად, აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შესრულებულ იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 5%). შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „მეტალ +“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „მეტალ +“ (ს/ნ: 400019047) 2024 წლის 29 აგვისტოს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე